

## დამანა მელიქიშვილი

*პროფესორი-ემერიტუსი თსუ*

შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე-თეოლოგი იოანე პეტრიწი – „პლატონური ფილოსოფოსი“ (როგორც მას იხსენიებენ ხელნაწერების მინაწერები), ახალი ეტაპის წარმომადგენელია ქრისტიანული აზროვნების ისტორიაში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ, აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს შუა საუკუნეების ფილოსოფიის // თეოლოგიის განვითარების ტენდენციებისა და სპეციფიკის, ასევე, დასავლურთან მისი მიმართების დადგენისა და გაგებისათვის.

სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხა აკადემიის სახელით ცნობილი გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლისა (XII-XIII სს.), რომელიც კონსტანტინოპოლის მანგანას უნივერსიტეტის ანალოგია საქართველოში და, სადაც სწავლება თრივიუმ-ქუადრივიუმ-ის აკადემიურ სისტემას ემყარებოდა, ფართოდ მოიცავს სწორედ იმ ნეოპლატონურ ლიტერატურას, რომელიც შუა საუკუნეების ევროპულ აკადემიებში სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა. სწორედ ამ თხზულებათა თარგმანებისა და კომენტარების საფუძველზე დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სისტემა ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის ღვაწლითა და შრომით. იოანე პეტრიწმა გელათის აკადემიაში სასკოლო კომპენდიუმთა რიგში შეიტანა V საუკუნის გამოჩენილი ბერძენი ნეოპლატონიკოსის, პლატონის კათედრის დიადოხოსის, ანუ „მონაცვალის“ (როგორც მას იოანე პეტრიწი უწოდებს), პროკლეს ცნობილი ტრაქტატი „თეოლოგიის საფუძვლები“ Στοιχειώσιμ Θεολογικη, რომლის თარგმანსაც დაურთო „სქოლიოდ“ წოდებული ვრცელი განმარტება, უნიკალური თავისი მნიშვნელობით, რადგანაც იგი შეიცავს არა მხოლოდ პროკლეს ფილოსოფიის დაწვრილებით განხილვას, არამედ, საზოგადოდ, ელინური (/პლატონური) ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების განხილვა-კომენტარებას და ანალოგიის მეთოდზე დაყრდნობით არსის ნეოპლატონური სტრუქტურის საკუთარი, ორიგინალური, ქრისტიანული თვალსაზრისით ინტერპრეტაციას. პეტრიწის ნაშრომი თავისი ფორმითა და სტილით წარმოადგენს ლექციების ციკლს მსმენელი სტუდენტებისათვის, რომელთაც ავტორი აცნობს ელინ ფილოსოფოსთა ნააზრევს და თითოეული საკითხის განხილვისა და დასაბუთებისას ციტირებას ახდენს პლატონისა და აკადემიელების, არისტოტელესა და პერიპატოელების, პითაგორასა და პითაგორელების, სტოიკოსების; პლატონისა და არისტოტელეს კომენტატორების: პორფირიოსის, ასკლეპიოსის, პლოტინეს, ალექსანდრე აფროდისიელის და სხვათა ნაშრომებიდან. იოანე პეტრიწის განმარტებანი შემმეცნებლისთვის, მსმენელისთვის, მოსწავლისათვის არის დანიშნული, ამიტომაც მის განმარტება-კომენტარებს თავიდან ბოლომდე გასდევს სასაუბრო კილო, ესაა მისი ენობრივი სტილის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორი: მეორე პირი – მსმენელი, მთელი განმარტების განმავლობაში მისი ყურადღების ცენტრშია. ავტორი მას ხშირად მიმართავს და უწოდებს გამგონეს, (შემმეცნებელს), ან

განმცდეს (მხედველს, აღმქმელს), მსმენელსა და მოსწავლეს: იხილე, ხედვათა შუენიერებანი, ოდ გამგონეო [2, 154,28]; ხედენ და განიცადენ, გამგონეო, ხედვანი უჩუეველნი [2, 186,13]; ხოლო შენ, მსმენელო, აქა მომეც საცნოად ხედვისაჲ [2, 105,31], აწ რაჲ ვყოთ, მოსწავლეო, ხედულო გონებისაგან [2, 107,17]; ისმინენ წადილმან მოსწავლისამან [2, 83,19].

იოანე პეტრიწის ამ ნაშრომის დიდ მნიშვნელობასა და გავლენაზე თავისი დროისა და მომდევნო პერიოდის მოაზროვნე წრეებზე მიუთითებს ქართული პოეზიისა და ესათეტიკური აზრის მწვერვალის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ის პასაჟები, სადაც პროკლეს ფილოსოფიური სისტემისათვის დამახასიათებელი ტერმინები პირდაპირ იოანე პეტრიწის სიტყვიერი საუნჯიდანაა შესული; პეტრიწის ამ ნაშრომისადმი დიდ ინტერესს მოწმობს ის, რომ იგი 1248 წელს ქართულიდან სომხურ ენაზე ითარგმნა; ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა იქონია პეტრიწის ნააზრევმა და მისმა ენამ ანტონ კათალიკოსის (XVIII ს.) სკოლაზე: ამ ეპოქის ლიტერატურულ წრეებში იგი „ქართული ენის მამზევებელად და მადლევებელად“ იწოდება.

იოანე პეტრიწის ენა და სტილი ყოველთვის იქცევდა და იქცევს მწერალთა თუ მკვლევართა ყურადღებას: ტრადიციული შეხედულების თანახმად, რომელსაც სათავე დაედო ანტონის სკოლაში, იოანე პეტრიწის ენა მეტად რთული გასაგებია („ფრიად ღრიფოის და ძნიად იგულისჯმაების“), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ხანის მოღვაწენი – სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათალიკოსი, იოანე ორბელიანი და სხვანი მას „ქართულისა ენისა მზედ“ უხმობენ, მიიჩნევენ მამზევებელად და მადლევებელად ენისა ჩუენისა“, მის რა ქმნის იოანე პეტრიწის ენის თავისებურებას?

თავისი ენის ორიგინალობის გასაღებს იოანე პეტრიწი თვითონვე იძლევა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ მისეული თარგმანისა და განმარტების სხვადასხვა ადგილას, სადაც იგი საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს და ასაბუთებს თავის მთარგმნელობითს პრინციპებს:

პირველ რიგში, სირთულეს იგი ხსნის იმით, რომ ამგვარი ტექსტი რთული გასაგებია „უჩუეველთავის უსხეულოთა განცდისა“, ანუ იმათთვის, ვინც გამოუცდელია არამატერიალურის ხედვებში (თეორიებში); იგი აღნიშნავს, რომ ჩვენში ჩვეულებადაა ადვილი და მარტივი ტექსტების ჩვეული ენით თარგმნა, მაგრამ რთულ აზროვნებითსა და ფილოსოფიურ თხზულებებში იგი ენის მარტივად და ლიტონად მიყოლას ცდილობს მანამდის, სანამ ზედმეტი სილიტონით აზრს ვნება და დაშლა არ შეემთხვევა, რადგანაც მთელი მისი გონება მათში არსებული აზრისა და ხედვისკენაა მიმართული: ლოგიკური (სიტყვიერებითი) იქნება ის თუ მათემატიკური (სწავლულებითი), გინდ ბუნებითი (ფიზიკური) ანდა ღვთისმეტყველებითი [2, 222]. ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების მისეული პრინციპი ეყრდნობა მის შეხედულებას და დამოკიდებულებას ფილოსოფიური აზროვნებისა და ძიებების დიდი ტრადიციის მქონე „ელინთა ენის“ უსაზღვრო გამომსახველობითი შესაძლებლობების მიმართ: პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ელლინთა ენამზეობასა ზედა, ყოველსავე თვისი სახელი ჰრქვიან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ [2, 6] – აქედან გამომდინარეობს იოანე ფილოსოფოსის მთარგმნელობითი პრინციპი:

ბერძნული ტექსტის ზუსტი, ადეკვატური თარგმანის შექმნისა და ბერძნული მეცნიერული, ფილოსოფიურ-ლოგიკური აპარატის, თეოლოგიური ცნება-ტერმინების ქართულ ენაზე კალკირების გზით გადმოტანისა (იმავე მეთოდით, როგორცაც ხდებოდა ლათინურენოვანი თეოლოგიური და, საერთოდ, ევროპულ ენებზე მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება).

გელათის ფილოლოგიურ-თეოლოგიური სკოლა (XII-XIII სს.), უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრისა და, ქართული მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. ამ სკოლაში გაგრძელდა შავი მთის სკოლის დიდი მოღვაწის, ევრემ მცირის დაწყებული საქმე – საბოლოოდ შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული თეოლოგიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას.

სწორედ ამ ენის შექმნას გულისხმობდა თავის გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის, იოანე პეტრიწი, როდესაც წერდა: „... და აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობად ენისად გალექსებული და მესხუე მდაბრიონთაგან“ [1, განმარტ., გვ. 220,24-25]: ანუ მან გადაწყვიტა შეექმნა ქართული მეცნიერული, ფილოსოფიური ენა, ქართული მეცნიერული სტილი, განსხვავებული „მდაბიოთა“, „მსოფლიოთა“ (ანუ ყოფითი, სალაპარაკო) ენისაგან, დაემუშავებინა ქართული ფილოსოფიურ-ლოგიკური აპარატი.

ნებისმიერ ენაში ყოველ ახლადშექმნილ ტერმინს თავდაპირველად „უცნაურობისა“ და „ხელოვნურობის“ იერი დაჰკრავს. ასეთ შემთხვევაში შეჩვევის ფაქტორი გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ტერმინის დამკვიდრებისათვის. სწორედ ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართული იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ, სანამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ძნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი“.

მეცნიერული, კერძოდ, ფილოსოფიური ენა, გარკვეული აზრით, კონსტრუირებული ენაა. „ხელოვნურობა (ანუ მხოლოდ ბუნებრივად განვითარებადი, სალაპარაკო ენისაგან განსხვავებულობა) გარდაუვალია არა მარტო სინტაქსურ კონსტრუქციებში და ამა თუ იმ მორფოლოგიურ საშუალებათა განზოგადოებაში... არამედ, პირველ ყოვლისა, ლექსიკაში“ [5, გვ. 361]. თავდაპირველად ნებისმიერი ფილოსოფოსის მიერ შექმნილი ტერმინები, შესაძლებელია, ხელოვნურად გამოიყურებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ეთვისებიან ენის ქსოვილს, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები ამ მეცნიერების მემკვიდრეობის ასათვისებლად.

იოანე პეტრიწს დიდი წინამორბედები ჰყავდა ბიბლიური და ეგზეგეტიკური ტექსტების თარგმანსა და კომენტარების საქმეში: სირიაში მოღვაწე თუ ტაო-კლარჯრთის სამონასტრო სკოლების ქართველი ბერების, ე.წ. პრეათონური პერიოდის თარგმანების სახით; წმინდა ათონელი მამების – ექვთიმე და გიორგი

მთაწმიდელების (XII ს.) უმდიდრესი სიტყვიერი მემკვიდრეობის სახით; ასევე, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის შრომების თარგმნა-კომენტირების ბრწყინვალე ოსტატის, შავი მთის (ანტიოქიაში) დიდი მოღვაწის – ეფრემ „მცირედ“ წოდებულის ნამუშავევის სახით: XI ს-ის 80-90-იან წლებში ეფრემ მცირეს უკვე თარგმნილი ჰქონდა იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავები“ ანუ „დიალექტიკა“, მისივე „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“ და დიონისე არეოპაგელის მთელი კორპუსი მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებითურთ; როგორც ჩანს, ტერმინოლოგიის სრულყოფის მიზნით, იყალთო-გელათის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა – არსენ იყალთოელმა ხელახლა თარგმნა დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (თვით ეფრემ მცირე გვაუწყებს თავის „ანდერძში“, რომ დამასკელის ამ თხზულებათა თარგმნისას მისი „ძალმწე“ არსენ იყალთოელი ყოფილა); გელათში, არსენის წრეშივე ითარგმნა ალექსანდრიული (ნეო)პლატონური სკოლის, ამონიოს ერმიასის კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებზე“ და ამონიოსისავე კომენტარები პორფირიუსის ამავე „კატეგორიების“ შესახებ, რომელშიც თავმოყრილი და სისტემაში იყო მოყვანილი არისტოტელედან და მისი კომენტატორებიდან მომდინარე ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგია; იოანე პეტრიწის მოღვაწეობის პირველი პერიოდის, ნემესიოს ემესელის ანთროპოლოგიური ხასიათის ტრაქტატის, „ბუნებისათვის კაცისას“ თარგმანს განსაკუთრებით ატყვია არსენ იყალთოელის სტილის გავლენა.

მაგრამ მაინც, იოანე პეტრიწის ღვაწლი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური (//მეცნიერული) ენის ჩამოყალიბების საქმეში სრულიად განსაკუთრებულია: იოანე პეტრიწის მიერ ნეოპლატონური ფილოსოფიის სისტემატიზატორის, პროკლე დიადოხოსის Στοιχειωσις Θεολογική – „თეოლოგიის საფუძვლები“ (მისი თარგმანით: „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“) თარგმნა-კომენტირებას შედეგად მოჰყვა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემაში მოყვანა, მკაცრად დამუშავებული ქართული მეცნიერული ენის – ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სისტემის შექმნა. სწორედ პროკლესაგან, როგორც პეტრიწი უწოდებს მას – „პლატონის მონაცვალე“ („დიადოხოსი“, შემცვლელი) ფილოსოფოსისაგან, შეითვისა მან ის ლოგიკური სისტემატურობა, რომელიც მთელ მის სიტყვათშემოქმედებას გასდევს. როგორც ცნობილია, პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლებში“, მის ფუნდამენტურ ნაშრომში „პლატონური თეოლოგია“, პლატონის „დიალოგებზე“ მის კომენტარებში (რომელთაც შესანიშნავად იცნობს და იყენებს თავის განმარტებებში იოანე პეტრიწი) პროკლესათვის დამახასიათებელი აკრიბიითა და სკრუპულეზურობით არის ჩამოყალიბებული მკაცრი სისტემა ელინური ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა ნეოპლატონური გადაამუშავებით. ცხადია, ეს მის მთარგმნელსა და კომენტატორს, ავალებდა ასეთივე მკაცრი სიზუსტით მოჰკიდებოდა თითოეული ფილოსოფიური ცნების ქართულად გადმოცემის საქმეს.

საუკუნეების განმავლობაში ბერძნული ტერმინების შესატყვისად შექმნილ ქართულ ლექსემებს, აგრეთვე, ახლად თარგმნილი ნეოპლატონური ფილოსოფიის

ცნებათა ქართულ შესატყვისებს ესაჭიროებოდა ერთ ფორმალურ-სემანტიკურ სისტემაში გაერთიანება, რაც კიდევაც განხორციელდა გელათის სკოლაში. ამ მხრივ გელათის ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლა ახალი ეტაპია ქართული ფილოსოფიური(//თეოლოგიური) ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე: ესაა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ერთიანი მონოსტრუქტურული სისტემის ჩამოყალიბების შეგნებული ცდა. ამ საქმეს ერთი ხელი და ერთი გონება სჭირდებოდა; სჭირდებოდა პიროვნება, რომელშიც შემოქმედებითი სითამამე და ფართო გაქანება, ენის ალლო და ღრმა ცოდნა, სიტყვის არსში წვდომისა და მისი ესთეტიკური განცდის უნარი, ფილოსოფიაში განსწავლულობა და „ხედვათა სურვილი“ ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული. სწორედ ასეთი პიროვნება – „წარმოსახული წმიდა განგებისაგან ღმრთისაჲსა, ჯელოვნებათაგან სულისათა დაჯელოვნებული, ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული“ [2, 222] იყო „იოანე პლატონური ფილოსოფოსი“, ზედწოდებით „პეტრიწი“, რომელსაც, ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე შექმნილ მზამზარეულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით რომ არსებობს“ [4, გვ.35].

ამგვარად, პეტრიწის მიზანი იყო ფილოსოფიურ ტერმინთა ისეთი სისტემის შექმნა, რომლის ელემენტები ურთიერთკავშირში იქნებოდნენ ერთმანერთთან როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შექმნიდნენ ფორმალურ-სემანტიკურ პარადიგმატულ ერთიანობას და გამორჩეული იქნებოდნენ ყოფითი ლექსემებისაგან ფორმალურ-სემანტიკური სტრუქტურების სისტემურობით. სწორედ ამას გულისხმობს იოანე ფილოსოფოსი, როდესაც ამბობს, რომ თავისი გვარ-ტომის ხალხისათვის – ქართველებისათვის აღიშურვა „მდაბრიონთაგან მესხუე და გალექსებული“ ენის შექმნა.

იოანე პეტრიწის ენაზე, კერძოდ, მის ტერმინშემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი პრინციპების მიხედვით:

1. ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით;
2. ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სისტემურობით;
3. ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი, უნდა ყოფილიყო გამჭირვალე, მოტივირებული;
4. ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა ყოფილიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო;
5. ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი.

ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და ახლაც შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერული ენა, ისევე, როგორც საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ არის სტატიკური და განვითარების კანონებს ემორჩილება. მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის ჯელოვნებისა და

დრამმატიკოსობის“ დაუფლებას, ენის „აობისა (არსის) და ქცევის (ფორმაცვალების)“ შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისა და დაშლის“ (სინტაქსის) ოსტატობაში გაწაფვას, სიტყვის არსში წვდომას და ამ გზით ტერმინის „ეტიმოლოგიის“ (მზამეტყველების“) ანუ მოტივაციის დადგენას [2, 220-221].

იოანე პეტრიწის ენის შესწავლით ირკვევა, რომ მან, როგორც ბრწყინვალე „გრამატიკოსმა“ თავისი შეუცდომელი ენობრივი ალღოს წყალობით შესანიშნავად გამოიყენა ქართული ენის შესაძლებლობანი მისი ლექსიკის გასამდიდრებლად.

იოანე პეტრიწი ზედმიწევნით იცავს ქართული ენის სიტყვაწარმოების წესებს: ძირები და მაწარმოებელი აფიქსები ქართულია, მათი გამოყენების წესებიც ქართული ენის სტრუქტურის შესაბამისია. ერთი და იმავე მნიშვნელობის რამდენიმე მაწარმოებლიდან უმეტეს შემთხვევაში აღებულია უფრო გავრცელებული. თავისებურებას ქმნის ის, რომ ერთგვაროვნების დასაცავად ტერმინოლოგიის წარმოებისას, იოანე პეტრიწი ერთი რიგის ცნებათა აღსანიშნავად აბატონებს ერთი სახის წარმოებას და მას უმორჩილებს ნებისმიერ ძირს, რომელიც კი დასჭირდება ახალი ფილოსოფიური ცნების გამოსახატავად: ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ზედსართავ სახელთაგან აბსტრაქტული ცნების საწარმოებლად ქართულში, ჩვეულებრივ, *სი-ე* კონფიქსი გამოიყენება (*თეთრი – სი-თეთრ-ე*). იოანე პეტრიწი კი აბსტრაქტულ ცნებათა წარმოებისას მაწარმოებალთაგან *-ობა* სუფიქსს აბატონებს, რითიც ერთი რიგის ტერმინთა წარმოებისას ერთგვაროვნების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მაგ.: *მჟავე-ობა, თეთრ-ობა, დიდ-ობა* და სხვა. ამგვარი განზოგადებული წარმოებით იგი ზედსართავისაგან ნაწარმოებ სახელებსაც ტერმინოლოგიური ღირებულებას ანიჭებს: *სიკეთე, სიმჟავე, სითეთრე, სიდიდე...* თვისებებია საგნისა, ხოლო *კეთილობა, მჟავობა, თეთრობა, დიდობა* და სხვ. გვარობითი, უზოგადესი განყენებული ცნებებია, რომლებიც ყველა კეთილის, ყველა მჟავის, ყველა თეთრის, ყველა დიდის... თვისებებს აერთიანებს თავისში (*კეთილობა* გვარობითი ცნებაა, *სიკეთე –* მასზე დაქვემდებარებული – სახეობითი: მაგ. „*სიკეთე ბჭე არს კეთილობისა*“ ).

ძველი ქართული ენის ძეგლებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ზოგი წარმოება, რომელიც პეტრიწის ენაში უცნაურად გვეჩვენება, საკმაოდ გავრცელებულია: *მობაძავი* – ასეთი წარმოება, ოდენპრეფიქსიანი, „უცნაური“ დღევანდელი თვასაზრისით, ძველ ქართულში უცხო არ იყო. რეფლექსივთა სასუბიექტო მიმდებარების (როგორიცაა, მაგ. *მობრავი*) ოდენ *მო-* პრეფიქსიანი წარმოება დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისათვის: *მოდგამი, მოძილი, მოშიში...*)

ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად და ხელოვნურად მოგვეჩვენოს ზმნის პირიან ფორმებზე (III – პირის ფორმაზე), ან ნაცვლასახელის ბრუნვის ფორმაზე, ზმნიზედის, თანდებულის თუ ნაწილაკის გაქვავებულ ფორმაზე ბრუნვის ნიშნის დართვით ახალი სიტყვის, ტემინის წარმოება, მაგ.:

ზმნიდან: *იყო>იყოდ; იყოს> იყოსი>იყოსობად; არს >არსი; ეგების> ეგებისი*

ნაცვალსახელებიდან: *მას > მასი > მასობა > მასვეობა; იგი > იგივ(ე)ობა; თვთ > თვთობად > თვთებად...*

თანდებულიდან: *გან – განი, გამო – გამოდ (არისტოტელისგამოდ, პერიპატომოს-გამონი* (არისტოტელეს მიმდევარი, მისი სკოლიდანა გამოსული). *გამო* თანდებულიდან ნაწარმოებია *ზმნა – იგამოა*, აბსტრაქტული სახელი – *გამოობა, კერძოდ – კერძოდ; მიერ – მიერი...*

ზმნიზედიდან: *ოდესმე > ოდესმედ, მერმე – მერმედ.*

ნაწილაკიდან: *აჰა – აჰად* და სხვ.

ამგვარი წარმოება გავრცელებულია ძველ ქართულში. მეტად ფართოდ აქვს იგი გამოყენებული ეფრემ მცირესაც თავის ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანებში სწორედ ტერმინების ნაწარმოებლად. ამგვარად წარმოებული სიტყვები გავრცელებულია ახალ ქართულშიც (*არს – არსი – არსება, ღირს – ღირსი, მ(რ)წამს – მრწამსი, იგივე – იგივეობა, თვისი – თვისობა.*

საინტერესო მასალას იძლევა იოანე პეტრიწის ენის შედარება ეფრემ მცირის, როგორც ფილოსოფიური თხზულების (პეტრე იბერიელის შრომების) მთარგმნელის ენასთან. ეფრემ მცირე ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, აზრის სიზუსტის დაცვისათვის, ფილოსოფიური მსჯელობის გადმოცემისათვის, სპეციალურ ტერმინოლოგიას იმუშავებს. ტერმინთა წარმოების ტიპები ორივე მოაზროვნისა მსგავსია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი წყარო ქართული ენის ცოცხალი მასალაა, ზოგჯერ მათი შექმნილი ტერმინები სრულიად თანხვედბა ფორმითაც და მნიშვნელობითაც. *თვთებად, თვთებითი, მასი, მასვეობა, ყოვლობა, ეგებისი, იყო, იყოსი* და სხვა ორივე მოაზროვნის ენაში თანაბრად გვხვდება. ეფრემ მცირეც ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, ფართოდ იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შესაქმნელად.

დასასრულ, აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პეტრიწი ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად მოხერხებულად იყენებს ქართული ენის მრავალფეროვან საშუალებებს და ერთი და იმავე ტერმინის მნიშვნელობას სხვადასხვა ნიუანსს მორფოლოგიური წარმოების სხვადასხვა საშუალებებით გადმოსცემს. ამ მხრივ იოანე პეტრიწის ენა მეტად ძვირფასი წყაროა თამანდროვე ქართულისთვის, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიისა და სპეციალურ დარგთა ტერმინოლოგიისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ მცირე რაოდენობის მაგალითთაგან ბევრი დღესაც სწორედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით იხმარება, აღარაფერს ვამბობთ იმ ზღვა მასალაზე, რომელსაც იოანე პეტრიწი გავწვდის და რომლის სრულად მოყვანა აქ შეუძლებელია. ასეთებია: *მგერძობელობა, სიტკბოება, მხედველობა, მკურნალობა, უსაზღვროობა, მოუწვდომლობა, უსრულობა, უსამართლობა, სხუაობა, გასხუაება, რაობა, რაოდენობა, არსობა; ცნობიერება, გონიერება, სიტყვიერი – სიტყვიერება; შესატყვისი, დასაწყისი; ღირღულიანი (ღირღულიანობა), გუაროვანი, ჯეროვანი; ნივთიერი, სულიერი, ზომიერი; გონებრივი, მრგულივი, ქვებრივი, სხეულებრივი, აკვებრივი; გრძნობადი, აღორძინებადი, ფრიადი; სიტყვიერებითი, ბუნებითი, ცხოველობითი...*

ამგვარად, იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი ტერმინები ქართული ენისათვის დამახასიათებელი ყალიბების მიხედვითაა აგებული და ამ ტიპის მოდელები ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში დღეს ფართოდაა გამოყენებული. ეს

მოდელები თანამედროვე ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს.

ტერმინწარმოების სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის ფაქიზი ალლო და არაჩვეულებრივი უნარი მიაღწიოს ცნება-ტერმინთა მორფო-სემანტიკური სისტემატიზაციის იდეალურ დონეს, მაგალითისათვის მოვიხმობთ პარონიმული წყვილის, ტომი – გვარი შემხვევას: ცნებათა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების სისტემატიზაცია მუშაობის რთულ ეტაპებს მოიცავს. ცნებათა მნიშვნელობების დადგენა და მათთვის სახელწოდებათა შერჩევა განყენებულად არ ხდება (ან არ უნდა ხდებოდეს), არამედ სხვა ცნებებთან და მათ შესატყვის ტერმინებთან მიმართებაში უნდა ზუსტდებოდეს. ყოველ ცნებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი ცნებათა სისტემაში და ამ ცნებათა (და შესაბამისად – მათ გამოხატველ ტერმინთა) შორის არსებულ კანონზომიერებებს უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, ეს კანონზომიერებანი ცნებათა ლოგიკურ კავშირებს ემყარება და ცნებათა ისეთ კლასიფიკაციას გულისხმობს, რომელიც მნიშვნელობათა გვარ-სახეობრივ ურთიერთობებში ვლინდება [6, 46]. როდესაც გვარ-სახეობითი ცნებების ამ იერარქიული დამოკიდებულების (ჰიპონიმის) გამოხატვა გამჭვირვალე ენობრივი მასალით ხდება, საქმე გვაქვს იდეალურ შემთხვევასთან ცნებათა და შესატყვის ტერმინთა სისტემატიზაციის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი სანიმუშო შემთხვევაა პეტრიწის მიერ გვარ-სახეობითი დამოკიდებულების აღმნიშვნელი წყვილის – **ქი და ებო** ცნებების გადმოტანა ერთ სემანტიკურ ველში შემაჯავლი ურთიერთდამოკიდებული წყვილით – *ტომი* და *გვარი* (რომელთაგან პირველი ფართო მოცულობის ჰიპერონიმია, მეორე კი მასში შემაჯავლი ვიწრო მოცულობის ჰიპონიმი), ნაცვლად ქართულ ლოგიკურ ტერმინოლოგიაში ადრე (დამასკელის „დიალექტიკისა“ და ამონიოსის შრომების თარგმანებში) მიღებული ტერმინებისა – *ნათესავი* და *სახე*. საქმე ისაა, რომ არც თვით ბერძნულ ტერმინებში და არც მათს ძველ ქართულ თარგმანებში არ არის დაცული (და გააზრებული) სათანადო სისტემურობა, რომელიც იდეალურ შემთხვევაში ერთი ჯგუფის ცნებების ერთ სემანტიკურ ველში შემაჯავლი ტერმინებით ასახვას გულისხმობს. *ნათესავ* ტერმინს (რომელიც ამავე დროს, მეტად გავრცელებული ყოფილი მნიშვნელობის სიტყვაა) იოანე პეტრიწი ცვლის მისი ნაწილობრივი სინონიმით, სპარსულიდან ადრევე ნასესხები *ტომით*, ხოლო **ქი** ძველ ქართულ შესატყვისს – *სახე*-ს ცვლის *გვარ* ტერმინით, რომელიც, თავის მხრივ, *ტომის* ქვეკლასს წარმოადგენს. ამგვარად, იგი ახერხებს ენობრივი მასალის საშუალებითაც ასახოს ის იერარქიული დამოკიდებულება, რომელიც ამ გამოსახატავ ცნებებს შორის არსებობს, რითიც აღწევს იდეალურ სისტემატიზაციას გამოხატვის პლანში. ამ მხრივ იგი აჭარბებს სისტემატიზაციის საოცარი უნარით განთქმულ თვით პროკლესაც კი, რომელიც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრადიციით იყო შეზღუდული.

თავისი ტერმინოლოგიური ძიებების გზაზე პეტრიწისათვის ყველაზე მთავარი მაინც სიტყვის არსში წვდომა და ამ არსის ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატვაა

ენობრივი ნიშნით. იგი მიისწრაფვოდა შეექმნა ცნების, საგნისა და მოვლენის არსის გამომხატველი გამჭირვალე სემანტიკური სტრუქტურისა და ცხადი მოტივაციის მქონე, სწორად მაორიენტირებელი ტერმინები.

პლატონის მიერ „კრატილოსში“ გამოთქმული აზრით, ყოველი სახელი უნდა გამოხატავდეს საგნის ბუნებას (იხ. „კრატილოსი“, 396a) და, რადგანაც პეტრიწის ღრმა რწმენით „ელლინთა ენამზეობასა ზედა ყოველსავე თვისი სახელი ჰრქვან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ“, ამიტომ მისი მიზანია ქართული ფილოსოფიური ენა თავისი გამომხატველობითი ძალით გაუტოლოს „გონიერთა ხედვათა მომმარჯვ“ ელინურს. აქედან მოდის სწორედ მისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპი ტერმინშემოქმედების – ახალ ცნება-ტერმინთა ბერძნული ენიდან კალკირების ხერხის აქტიური გამოყენება. ეს გამოცდილი ხერხი უზრუნველყოფდა ზუსტ თარგმანს და ფილოსოფიური ტექსტის მთარგმნელს იცავდა ნეფსითი თუ უნებლიე საკუთარი ინტერპრეტაციების საფრთხისაგან.

ტერმინოლოგიასთან ერთად არსებითად სინტაქსია ის სფერო, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გლაპარაკა იოანე პეტრიწის ენის თავისებურებაზე, იმდენად, რამდენადაც, ფილოსიფიური და, საზოგადოდ, მეცნიერული ენა, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ სალაპარაკო, ყოფითი ენისაგან განსხვავებულია.

წინადადების მიმღობურ კონსტრუქციათა ხშირი ხმარება (რაც ბერძნულისათვისაა დამახასიათებელი), წინადადების წევრთა გამოტივება (განსაკუთრებით ქვემდებარისა და შემასმენლისა, არს მეშველი ზმნისა, რომელსაც ავტორი თავისთავად გულისხმობს), რაც აგრეთვე დამახასიათებელია ბერძნული დედნისა, მაგრამ გაუგებრობა არ იქნება, რადგანაც გამოტოვებული წევრის კომპენსაცია სხვა საშუალებით ხდება. გ) „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით, რაც აშკარად ბერძნულის გავლენაა. ე) მსჯელობისას რთული ქვეწყობილი წინადადების სიხშირე და დასაბუთების შემდეგ წინადადების დაწყება მასუმირებელი ვიდრემე, ვინაჲვე, ვინაჲცა კავშირებით, რაც აგრეთვე ბერძნული დედნის ზუსტი თარგმანის დამახასიათებელია.

გრეციზმები სინტაქსის სფეროში ჩვეულებრივია ძველი ქართული ენის ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში და მათ შორის, ქართულ სახარება-ოთხთავში. მთარგმნელები თავიდან ვერ იცილებდნენ, თუ შეგნებულად არ არიდებდნენ თავს ბერძნულის გავლენას. ასეთი გავლენა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსის სფეროში შეინიშნება ძველ ქართულ თარგმანებში. მაგრამ იოანე პეტრიწის მიერ ბერძნული ენის სინტაქსური (ან კიდევ ლექსიკაში ტერმინთა კომპოზიციის წესების) ზოგჯერ ქართულში გადმოტანა მერქანიკურ გავლენას არ უნდა მივაწეროთ. იგი გარკვეულ მიზანს ემსახურება: ქართული ენა გახადოს აზრის გადმოცემის ისეთივე სრულყოფილი იარაღად, როგორც იყო ბერძნული, სადაც ფილოსოფიური აზროვნება და მსჯელობები უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს პლატონმა და არისტოტელემ. როგორც ზემოთაც არვნიშნეთ, ქართული ფილოსოფიური ენის, „მდაბრიონთაგან მესხუე“ ენის შექმნას იოანე პეტრიწი დიდი ფილოსოფიური

ტრადიციების მქონე ბერძნული ენის კვალად ფიქრობდა: „კავშირის“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში იგი ამბობს: ქართველთაგან რომ „თანსიყუარული და შეწევნად მჩუენებოდა, (ქართული) ენამცა, ენისადმი (ბერძნულისა) გამეწყო და ხედვაიცა ფილოსოფოსთა განცდისად მეარისტოტელურაო“. იგი ხშირად გამოხატავს თავის ალტაცებას ელინთა ენამზეობისა და „გონებადღეობის“ გამო, რადგანაც „ყოველივე, ელინთა ენამზეობისა ზედა, თვისი სახელი ჰქვან, შესაბამისი თვისისა არსებისად, ხოლო ჩვენთამან, არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასჭურიტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველთავე ერთად და სწორად დასდებენ ჩვენნიო“.

იოანე პეტრიწის თარგმანებში ხმარებული სპეციფიკურად ბერძნული კონსტრუქციები, როგორცაა განსაკუთრებით არს მეშველი ზმნის გამოტოვება, და კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით, მიმდებარე და პასიური კონსტრუქციები (რაც საზოგადოდ დეფინიციებით გადატვირთული ფილოსოფიური მსჯელობისა შემცველი ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი), დედნის შესაბამის ადგილებში ხშირად არ გვხვდება. ამგვარი შემთხვევები ზოგჯერ ვერ აიხსნება ვერც დედნიდან გამომდინარე პირდაპირი თარგმანით და ვერც პეტრიწის მთარგმნელობითი პრინციპებით. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იოანე პეტრიწი გაიზარდა და ფილოსოფიური განათლება მიიღო ბიზანტიაში. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან ბერძნულ სამყაროში გაატარა. ბერძნული ენა მისთვის ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა იყო და ამიტომ მოსალოდნელიცაა, რომ მის, როგორც ჩვეულებრივად ბერძნულად მეტყველი პირის კალმიდან უნებურად ამ ენის დამახასიათებელი ყალიბის წინადადებები გადმოსულიყო. რაც შეეხება რთული ქვეწყობილი წინადადების ხმარებას, მათს დაკავშირებას შედგენილობით მეტად მრავალფეროვანი კავშირების ან საკავშირებელი სიტყვების საშუალებით, ეს საერთოდ ფილოსოფიური ენის დამახასიათებელ თავსებურებას წარმოადგენს. ეს თავსებურება კი გამოწვეულია აზრის ზუსტად და დაუმახინჯებლად, გარკვევით და უწყვეტი ჯაჭვით გადმოცემის მოთხოვნით, რაც ნებისმიერი ავტორის ფილოსოფიური თხზულების ენის დამახასიათებელია.

\* \* \*

იოანე პეტრიწის ენას თავსითავადობას, დამოუკიდებლობას ანიჭებს ამ მოვლენებთან ერთად მისი ინდივიდუალური სტილი, რაც მის მიერ ენაში არსებულ სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადების მეტად თავისებურ წყობაში ვლინდება.

ცნობილია, რომ ქართული მარტივი წინადადების ორდინალური, ჩვეულებრივი წყობა მოითხოვს შემასმენლის დასმას ქვემდებარის შემდეგ. სხვა წევრების არსებობის დროსაც წინადადებას ჩვეულებრივ შემასმენელი კეტავს. ქვემდებარე, თავის მხრივ, კი ჩვეულებისამერ მარტივი წინადადების თავშია ხოლმე. იოანე პეტრიწი იმით, რომ შემასმენელს ქვემდებარის წინ და ორივეს ერთად კი წინადადების ბოლოში აქცევს, მეტად თავისებურ, და ამასთანავე, ქართულისათვის არაორდინალური მელოდიკის წინადადებას იღებს:

*რამეთუ ბუნებით თამეჯოგედ და მოქალაქედ ცხოველად შეიქმნა კაცი (3, 16,4). სწორისა ძალისა მიერ იქმნების წარმოჩენად სწორთად (1, 8,25). მსგავსთა, პირველ უმსგავსოთადასა, წამოაყენებს ყოველთა წარმომადგენელი მიზეზი (1, 24).*

ხშირად წინადადების თავში შემსამენელი დგას, ბოლოში კი ქვემდებარე:

*უჯერო არს უსულოდცა და სულიერად თქუმად სულისა: (3, 26, 19).*

ზმნისართის ადგილი ქართულ წინადადებაში, ჩვეულებრივ, ზმნის წინაა. იოანე პეტრიწი თავისებურ რიტმულობას აძლევს წინადადებას, როცა ზმნისართს ზმნის შედეგ ხმარობს:

*მოქმედებამან უძლიერესისამან იმოქმედაცა უძლიერესად (1, 46,7).*

განკერძოებული განსაზღვრებების, გათიშულ მსაზღვრელ-საზღვრულთა ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის სტილის მეტად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს:

*რომელი-იგი იყო ქუაბი, მრავალხრახნილად ქცეული და ძნად წიალსასვლელი და ძნელად გამოსავალი, (2, 224, 8).*

მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ზმნითაა გათიშული:

*ყოველი ქმნილი ორობითისა მიერ იქმნების ძალისა, (1, 51, 9).*

ხშირად მსაზღვრელ-საზღვრული რამდენიმე სიტყვითაა გათიშული:

*რამეთუ თვთ გონებად არს და გონიერი ხუდა მას არსებად (1, 103, 26). მაშინ ითქუა, ვითარმედ ყოველსა გუარსა არსებად დაუუმჯდობესდების მოქმდებისასა; რამეთუ არა უდარესთაგან რას შეიწყნარებს ღმრთებრივი ზესთმეჟონეობად ცნობასა (1, 27, 5).*

საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი წინადადებები წყობით ბერძნულ დედანს მისდევს. მაგრამ, თუ სხვა მთარგმნელთან მსგავსი კალკი იშვიათად, შეუცნობლად გამოჩნდება ხოლმე (მველ ტექსტებში გათიშული მსაზღვრულ-საზღვრული იშვიათად გვხვდება) იოანე პეტრიწი სწორედ ამგვარ წყობას აძლევს უპირატესობას. მას ეს წყობა მოსწონს და შეგნებულად სწორედ ამგვარ წინადადებებს აგებს თავის ორიგინალურ ნაწარმოებშიც - „განმარტებაში“.

ნაწილაკებისა და კავშირების წინადადების ბოლოში მოქცევაც იოანე პეტრიწის წინადადების ნატიფსა და მოხდენილს ხდის:

*და არც ყოვენი სულნი ეზიარებიან თანზიარებითსა გონებასა, არამედ, უგონიერესნი ოდენ: (1, 69, 2); რამეთუ ესე მხოლოდ შენდობასა მიემთხვის, შეინანოს თუ (3, 16, 9); არამედ არცა ეშმაკნი და ანგელოზნი, შეინანოლა თუ, შენდობასა ღირს იქნებიან (3, 16, 3);*

მელოდიურია წინადადება, როდესაც სხვათა სიტყვის გადმოცემისას პეტრიწი ო ნაწილაკის ზმნას ურთავს თან, მით უფრო, როდესაც ეს ზმნა ქვამდებარისა და დამატების წინ დგას: *რომლისთვის იტყვს სოკრატი: ნიადაგ მესხუაესა მდედრსა ჰგავსო ნივთი (2, 72, 32); მაშინლა ვიტყვთო ცნობად, ოდეს მიზეზნი ვიუწყნეთო პირველნი (2, 42, 1); ცეცხლი არსო სხვათა ასოთა მშობიერი (3, 48,27); რომელმან... სული შეანაწევრაო სხეულთა(3, 48, 27); იტყვს: ეზიარებისო სიმრავლე ერთსა (2, 12, 4).*

მსგავსად ნაძერწი წინადადებები იოანე პეტრიწის ინდივიდუალური სტილის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

ფონეტიკასა და მორფოლოგიის სფეროში იოანე პეტრიწის ენა „იდეალური სისწორის“ ნიმუშია. იგი ძველი ქართული ენის ნორმებს მიჰყვება, მაგრამ ამ მხრივ კონსერვატიული სრულიადაც არ არის. როგორც შეეფერება XII საუკუნის სამწერლო ენას, იოანე პეტრიწი თავისუფლად უშვებს თითქმის ყველა, მისი დროის მწიგნობრულ ენაში აქა-იქ შემოპარულ ფორმებს, რომლებიც შემდგომს სამწერლო ქართულში მკვიდრდება და ბატონდება და ახალი ქართულის მოვლენებადაა მიჩნეული.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება: 1. ზმნისწინთა განმარტივება *აღ > ა, გან > გა, წარ > წა* ზმნისწინებისა: *ავითქუან, ანათხზი, აგებული; გაჰყოფს, გაზიდავს, გასხუაებულა, გაიგონებენ, გააგრილებს; წამწუერვალებული.*

1. -მდე თანდებულიანი ვითარებითის ფონეტიკურად გამარტივებული სახით ხმარება: *(ადმდე > ამდე) სიღრმემდე, უსაზღვროობამდე, უკანადასკნელამდე...*

2. მრავლობით რიცხვში -ებ სუფიქსის გამოყენება (თუმცა იშვიათად): *წიგნები, ძალები, სახეები, სიტყუები, სახელები, თუალები, საყრდენები, ხატები*

3. ადამიანთა საკუთარ სახელთა გაფორმება მოთხრობითს ბრუნვაში: *ბასილმან, კსენოკრატიმან, მოსემან, იამვლიხოლმან, არისტოტელმან ...*

4. ზედსართავ სახელთა ხარისხის მოკლე ფორმები (ისინი ფართოდაა გავრცელებული „ვეფხისტყაოსანში“ და საერთოდ, XII სს-ის სამწერლო ენაში): *უდარე, უმრავლე...*

5. არს მემველი ზმნის გარტივება და შერწყმა წინამავალ სიტყვასთან: *უცნაურია, უსხეულოა, შედგმულეა, სხეულია, სავსეა ...*

6. აბსლოლუტურ და რელატიურ ზმნათა I რეზულტატივის ფორმათა ახალ წარმოებაზე გადასვლა: *წარმოდგომილა, გასნაზღვრებულა, შეერთებულა, მოუგია, წარმოსდგომია, გვსწავლია* (ნაცვლად: *შეერთებულ არს, მოიუგიეს...*)

7. ახლისკენ, გარდამავალი საფეხურის არსებობა I კავშირებითის III სუბ. პირის მრავლობითს რიცხვში *(ოდენ > ოდინ) იქმოდინ, იწარმოებოდინ, ითქუმოდინ; ნაცვლად ძველი იწარმოებოდინ ...* – ფორმისა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. იოანე პეტრიწი, „პროკლე დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, *შრომები, ტ. I*, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუსრთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940.
2. იოანე პეტრიწი, „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა“, *შრომები, ტ. II*, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.
3. ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ*, (ს. გორგაძის გამოც.), თბ., 1914
4. Н. Марр. *Иоанн Петрицкий, Грузинский Неоплатоник XI-XII вв.* С-Петербург, 1909.
5. ჰეგელი, *გონის ფილოსოფია*, (გერმანულიდან თარგმნა ნ. ნათაძემ) თბ., 1984.
6. რ. ღამბაშიძე, *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები*, თბ., 1986.